საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 559 ხუთშაბათი, აგვისტოს 30 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

კვირას, სექტემბრის 1, ქუთაისის პარტ. კლუბში
მოწვეულია საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის
ქუთაისის
## სამაზრო კონფერენცია
დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. პარტიული მუშაობა.
3. ქუთ. კომიტეტის ანგარიში.
4. მოხსენება ადგილებიდან.
5. პარტიული წესდების გადასინჯვა.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

დელეგატებს ირჩევს ორგანიზაციის საზოგადო კრება.

ყოველმა ორგანიზაციამ ქუთაისის სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე უნდა გამოგზავნოს თითო დელეგატი. თუ ორგანიზაციაში ოცზე მეტი წევრია, ყოველ ოც წევრზე იგზავნება თითო დელეგატი. ახალგაზრდათა ორგანიზაციები გზავნიან თითო დელეგატს სათათბირო ხმით.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზე.

— ბულგარეთის მთავრობა ალიარებს, რომ რუსეთის ლტოლვილნი მართლადაც განიცდიდნენ შევიწროებასო.

— რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობა საჭიროა.

— დანიასა და რუსეთს შორის შეთანხმება შესაძლებელია.

— ზოგიერთის აზრით პოლონეთს უშველის პიროვნული დიქტატურა.

— რუმინიაში მოსალოდნელია ფაშისტური გადატრიალება.

— თეირანში გაიმართა გრანდიოზული ანტი-ინგლისური დემონსტრაცია.

— რუსეთი ყველაზე უწინ ალადგენს თავის მეურნეობას.

რომ მისი მთავარი მიზანია იმუშაოს ორივე სახელმწიფოს ეკონომიურ ურთიერთობის გასამაგრებლად, სანამეტნაოდ სასოფლო-მეურნეობის დარგში.

**ანგორა.** 27 აგვ. ოსმალეთის წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლში ჩააბარა მოკავშირეთა წარმომადგენლებს ნოტა შესახებ ლოზანის ხელშეკრულობის რატიფიკაციის ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მიერ.

ინგლისის ჯარების ევაკუაცია კონსტანტინეპოლიდან გრძელდება; საფრანგეთის ჯარებისა კი დაიწყება სექტემბერში.

**ბერლინი,** 28 აგვ. ტოკიოდან იტყობინებიან რომ იაპონიის კაბინეტი გადადგა, პრემიერად დროებით დანიშნულია ყოფილი მინისტრი საგარეო საქმეთა ბარონი უშიდა.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ენკენისთვის 1-დან ეღირება:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 3.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 4 000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 150.000 „ |

## აქა და იქ

საბჭოთა ფედერაციაში მდგომარეობა, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური დღითი-დღე უმჯობესდება. ამის უტყუარი მაჩვენებელია ერთის მხრით ჯერ არ ნახული გრანდიოზული გამოფენა მოსკოვში,—გამოფენა, რომელიც ასე მოულოდნელად დაკვრითი წესით მოაწყო საბჭოთა მთავრობამ და რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. მეორე მხრით კონტრრევოლიუციის სრული განადგურება შიგნით, ლიკვიდაცია ესერებისა და მენშევიკების და ამასთან ერთად კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ძალაუნებურად ანგარიშის გაწევა საბჭოთა ფედერაციისათვის. სენატორების, ფინანსისტების და სხვა წარჩინებულ პირთა მოგზაურობა საბჭოთა რუსეთის გასაცნობად, მასთან საერთო, საქმიანი ენის გამოსანახავად. საბჭოთა სისტემა და მუშუ-გლეხური ხელისუფლება, მიუხედავად მრავალი და აუცილებელი შეცდომებისა თან და თან პოპულიარული და მისაღები ხდება თითქმის ყველა წრეებისთვის. საბჭოთა ფედერაცია მაგრდება, სიმპატიებს იპყრობს შინ და გარედ. მომავალი მისია. ასეთია მდგომარეობა აქ.

სრულ წინაალმდეგობას ვხედავთ იქ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მათი საქმე უკან-უკან მიდის. მიუხედავათ იმისა, რომ ომშიაც და რევოლიუციაშიაც, მაგ. გერმანიაში, გამარჯვებულნი ისინი გამოვიდნენ, სახელმწიფო და ეკონომიური აპარატი არ მოშლიათ, დოვლათი და სიმდიდრე ჩვენზედ გაცილებით მეტი აქვთ და ცოდნა—გამოცდილებით ხომ ასჯერ გვიყიდიან და გაგვყიდიან. აი მიუხედავად ამდენი უპირატესობისა იქ მაინც ქაოსია და არავინ იცის ხვალინდელი დღე ვის რას მოუტანს. უმუშევრობა, უსურსათობა, გაჭირვება, ფულის კრიზისი, ერთმანეთის გაუტანლობა, გამუდმებული გაფიცვები, აჯანყებანი და მღელვარება... აი რა ახასიეთებს დღევანდელ ევროპას. ის მისულია ბედის საზღვართან და საშველი არა აქვს, თავისას ეწევა უსათუოდ. შეიძლება ხანგრძლივი გამოდგეს აგონია დრო მოჭმული წესწყობილებისა,—მით უარესი კაცობრიობის მომავალისათვის,—მაგრამ ის მაინც დასრულდება და ამოაშუქებს ბრწყინვალე მზე სოციალიზმისა.

## ახალი ამბები

— **ახალი კოლექტივი.** დაარსდა ორგანიზაცია სომხ. რუს მსახიობების მიერ, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული აღმოსავლეთის მუსიკის შესწავლა.

— **დამზღვევ კასის წიგნაკები.** თანახმად დამზღვევი კასის პრეზიდიუმის დადგენილებისა პირველ ენკენისთვემდე უნდა დარიგდეს დამზღვევ კასის წიგნაკები.

— **ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაული.** ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულის ჩასატარებლად საქ. ახალ. კომკავშირმა აღძრა შუამდგომლობა ალმასკომის წინაშე რათა მიეცეს ხსენებულ დღესასწაულის ჩატარებისათვის 300 მილ. მან.

— **საბავშო ბაღის გახსნა.** ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით გადაწყვეტილია ახალი საბავშო ბაღის გახსნა.

— **მირზოევის ყოფილი მამული—აგარაკი სკოლად.** ალმასკომის დადგენილებით მირზოევის ყოფილი მამული—აგარაკი უნდა გადაკეთდეს საბავშო სკოლად.

— **საავადმყოფოების გაუმჯობესება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასდო სავანტყოფოების გასაუმჯობესებლად 12 მილიარდი მანეთი.

— **სამოსწავლო გადასახადის შესახებ.** ქალ. ალმასკომმა დაადგინა დაევალოს განათლების განყოფილებას რათა შემოღებულ იქნას სამოსწავლო გადასახადი შრომის სკოლებში.

— **შრომის ბირჟა.** 28 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 739 უმუშევარი, მოლხოვნილება იყო 51 უმუშევარის. სამუშაოზე გაიგზავნა 60 უმუშევარი ჩაეწერა 30 უმუშევარი.

— **სანოვაგის ფასები ტფილისში.** 27 აგვისტო. შაქარი ფხვნილი 1556,000 მან. ხორცი 450 ათასი გირ. ყველი თუშ. 1 მილიონი. ბრინჯი 375 ათასი, ზეთი გირ. 950 ათასი.

— **სახელმწიფო გამოცემათა კატალოგი.** დაიბეჭდა და გამოვიდა სახელმწიფო გამოცემათა სრული კატალოგი, რომლებიც პროვინციის განათლების განყოფილებებს დაეგზავნებათ უფასოთ.

— **გამოვიდა ახალი სახელმძღვანელოები.** სახელმწიფო გამგებლობამ გამოსცა ორი ახალი სახელმძღვანელო: 1) არითმეტიკის სისტემატიური კურსი, 2) თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია ნაწ. 2.

— **პატიმრის გაქცევა.** მე-13-ე სამილიციო რაიონის სამმართველოს სატუსაღოდან გაიქცა პატიმარი ქალი ზახაროვისა.

— **ქურდის დაჭერა.** მე-2-ე სამილიციო რაიონში საპიორის ქუჩა № 8-ში მოქ. ჩიქვაიძის ბინაზე შევიდა ვიღაც ბოროტ-მოქმედი, იგი შემჩნეული იქნა სახლის პატრონის მიერ, რომელმაც ესროლა და დაჭრა ფეხში, დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში.

— **მცარცველის დაპატიმრება.** მე-8-ე სამილიციო ნაწილში დააპატიმრეს ილია მუშკოვი, რომელსაც აღმოაჩნდა სხვა და სხვა ნაცარცვი ნივთები.

— **ვალიუტის კურსი.**

29 აგვისტო.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 41,000,000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 40,200,000 „ |
| ჩეკი. | 38,700,000 „ |
| დოლარი ეფექ. | 8,500,000 „ |
| ჩეკი. | 775,000 „ |
| ლირა | 5,650,000 „ |
| საბჭოთა ფული | 19,500 „ |

## პარტიაში

3 სექტემბრისათვის, საღ. 7 საათზე, მოწვეულია ტფილისის კომიტეტის გაფართოებული სხდომა. რაიკომებს და უჯრედებს ევალებათ თითოთითო წარმომადგენლის გამოგზავნა.

ტფ. კ—ის მდივანი: **მ. ხეფერთელაძე.**

30 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია მე 3-ე რაიონის ამხანაგების კრება (კახ. მოედანი № 2.)

მდივანი: **მ. ხეფერთელაძე.**

შაბათს, 1 სექტემბერს, პარტიის კლუბში დანიშნულია მე-4 რაიონის წევრთა და თანამგრძნობთა მორიგი საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებს ამხ. **ხერ. ამაღლობელი** შემდეგ თემაზედ: **„გარდამავალი პერიოდი“**. დასაწყისი საღ. 7 საათზედ.

**მე 4 რაიონული კომიტეტი.**

## ტელეგრამები

(„ზაკროსტას“ ცნობებიდან.)
29 აგვისტო.

**მოსკოვი.** ბოლგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოუგზავნა ჩიჩერინს დეპეშა, რომლითაც აცნობებს, რომ მომხდარმა გამოძიებამ გამოარკვია, ჩიჩერინის მიერ ბოლგარეთის მთავრობის მიმართ წარდგენილ ზოგიერთ საყვედურების სიმართლე. რუს ლტოლვილთა ნაწილმა ნამდვილად განიცადა შევიწროება. დამნაშავეთა შესახებ დანიშნულია კვლევა-ძიება. მიღებულია რეპრესიები: დათხოვნილია 3 ჟანდარმი; ვარნის პოლიციის პრეფექტი დათხოვნილია სამსახურიდან ერთი თვით და სხვა.

ბელეპუგინის მკვლელობის გამო მოხდენილმა კვლევა-ძიებამ მიუხედავად ბევრი ცდისა დამნაშავენი ვერ აღმოაჩინა. არის საბუთი ვიფიქროთ, რომ მკვლელობა მოხდენილია რუსის ანტი ბოლშევიკურ ელემენტების მიერ.

ბოლგარეთის მთავრობა მზადაა აღმოუჩინოს დახმარება სამშობლოში დაბრუნების მსურველ რუს ლტოლვილთ და მათ გადაყვანაზედ საჭირო ხარჯების ნაწილი მიიღოს თავის თავზედ. ბოლგარეთის მთავრობა თანახმაა მიიღოს ამ საქმეში ნანსენის მიერ წარმოდგენილი ყოველგვარი მეთოდი მუშაობისა და არ ეწინააღმდეგება ბოლგარეთში რუსეთის წითელი ჯვრის ახალი დელეგატის მიღებას, თუ კი ნანსენი იმას საჭიროდ დაინახავს.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივით მომხდარ კორეცკის წამოსვლის დაჩქარებაზე ბოლგარეთის მთავრობა ხსნის მით, რომ ვითომც კორეცკი პრესაში ათავსებდა ტყუილ ცნობებს ბოლგარეთის ხელისუფლების შესახებ და აღელვებდა საზოგადოების აზრს ბოლგარეთის წესწყობილების საწინააღმდეგოთ.

დეპეშა უარსყოფს ბოლგარეთის მთავრობის მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებაში და ირწმუნება, რომ ბოლგარეთის მთავრობის პოლიტიკის მთავარი პრინციპია უცხო სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობა.

**მოსკოვი.** საფრანგეთის სენატორმა დე-მონზიმ პარიზში გამგზავრების წინ როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „მე ისე მივდივარ რუსეთიდან, რომ გავიგე ყველაფერი, რის გაგებაც მინდოდა და დავრწმუნდი, რომ აუცილებლად საჭიროა რუსეთსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა. დასასრულ დე-მონზიმ აღნიშნა, რომ ყველაფერმა, რაც მან ნახა რუსეთში, ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**კოპენჰაგენი.** (მოსკოვით). დანიის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელის მისვლის შესახებ. „სოც.-დემოკრატენი“ ხაზს უსვამს, რომ ს.-დემოკრატიული პარტია მუდამ ემხრობოდა რუსეთთან შეთანხმებას. დანიის კოოპერაციის ხელმძღვანელი კიფერი გამოსთქვამს სიხარულს, რომ ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცნობილი მომუშავე „ცენტრო სოუზ“-ისა და აღნიშნავს, რომ დანიის კოოპერაცია მზადაა იმუშაოს მასთან. „პოლიტიკენ“ ათავსებს ბერლინის კორესპონდენტის საუბარს გეინთან, რომელშიაც ამ უკანასკნელმა აღნიშნა,

## ქართული სტუდია

სასცენო კულტურა საქართველოში განვითარებას ეხლა იწყებს. ჩვენ დღემდე არ გვქონია სასცენო ხელოვნებისათვის განსაკუთრებული სასწავლებელი სტუდია, რომელიც სისტემატიური მუშაობით მოამზადებდა მსახიობთ და უკვე აღზრდილს გადაიყვანდა სცენაზედ. დღეს ქართული სტუდია გვაქვს, რომელმაც გაამართლა მასზედ დამყარებული იმედები. მიუხედავად იმისა, რომ სტუდია ხელოვნების მოყვარულთა მფარველობის ქვეშ არის უმთავრესად, მან მაინც შესძლო არა ხელსაყრელ პირობებში შესაძლებელი მაქსიმუმის მოცემა. ვინც დაესწრო სტუდიის საჯარო გამოცდებს, ის დარწმუნდა, რომ ჩვენ სცენას აქვს მომავალი, ჩვენი თეატრის აღორძინების საქმეს მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი. პრესამ ერთხმად აღნიშნა სტუდიის მუშაობის ნაყოფიერება.

ცხადია, ჯერ კიდევ დიდი მუშაობა აქვს წინ სტუდიას. მხოლოდ პირველი საფეხური გაიარა მან თავისი მეცადინეობისა, უკვე შეიქმნა შესაფერი კადრი, შესაძლებელი გახდა ძალთა შერჩევა.

ასეთ მდგომარეობაში სტუდიას კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. მისი ხელმძღვანელ აკ. ფალავას ენერგიულ მუშაობას მაშინ ექნება ხაბოლაო რეზულტატი, თუ ყოველ მხრივ დაეხმარებით სტუდიას.

როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, სტუდია უკვე შეუდგა რეპერტუარის შექმნას. ცხადია, სტუდიის ხელმძღვანელთ სათანადოთ განაწილებული აქვთ ძალები, შეფასებული მათი არტისტიული შესაძლეობა და ნიადაგზე გამომუშავებული შესაფერი რეპერტუარი.

ასეთ სისტემატიურ მუშაობას დიდი ინტერესი და სიხარულით შევყურებთ ყველა.

როგორც ვიცით, მოსკოვიდან ჩამოვიდა რეჟ. მჭედლიშვილი, რომელიც მოახდენს გამოცდებს ქართულ დრამატიულ სტუდიაში, რის შემდეგ ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბარების გამოცდებს, მიჰყავთ მოსკოვში ქართულ სტუდიაში სამუშაოდ. ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანია. რეჟ. მშედლიშვილმა უკვე შეუდგა თავის განზრახვის შესრულებას. მისი მიზანი ფრიად სიმპატიური და დადებითია თავის თავად, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი უარყოფითი შედეგების წინაშე დაგვაყენებს. ქართული დრამატიული სტუდიიდან ეხლა რამდენიმე საუკეთესო სტუდიელის გამოყვანა უდრის მთელ მუშაობის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებას. ყველაზედ კარგად რეჟ. მჭედლიშვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ სტუდიის მუშაობა საჭიროებს ძალების შერჩევას, მათ თავთავის ადგილის მიჩენას და რომელიმე მათგანის გამოკლება არღვევს მთელ მუშაობას. შლის მუშაობის პროგრამას არღვევს შერჩეული რეპერტუარის და მასალების დამზადების შესაძლებლობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოვლად დაუშვებელია დღეს, სისტემატიური მუშაობის პროცესში შესული სტუდია დავანგრიოთ. ქართული სტუდიიდან არც ერთი პიროვნება არ შეიძლება გამოკლებულ იქნეს. ნუ დავარღვევთ აშენებულს ასაშენებელის იმედით. როგორ პირობებშიაც არ უნდა უხდებოდეს მუშაობა აქ სტუდიას, იგი უფრო მეტ ნაყოფს მოგვცემს, ვიდრე რამდენიმე პირის გაგზავნა მოსკოვში სამუშაოდ.

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ სტუდიის ხელმძღვანელი აკ. ფალავა რა მოსაზრებით დაეთანხმა ასეთი გამოცდების დაშვების თავის სტუდიაში. ნუ თუ ცხადი არ არის მისთვის, რომ სტუდიელთა ნაწილის დაშორება ეხლა უდრის სტუდიისათვის მახვილის ჩაცემას?

რეჟ. მჭედლიშვილის სურვილი სიმპატიურია, მაგრამ ქართული სტუდიის გარეშე მოიძებნება მისთვის ძალები. უკვე დაწყებული მუშაობის შეფერხება კი ყოვლად დაუშვებელია. როგორც იქნა ვეღირსეთ ქართულ სტუდიას, რომელიც სერიოზულ სისტემატიურ მუშაობით იძლევა იმედებს დიდი მომავლისათვის. ასეთ სტუდიას ხელს ნულარ შეუშლით, თუ დიდი დახმარების ძალა არ შეგვწევს.

ხ. ა.

## დროა არა მარტო წერის, არამედ საქმის.

ჩემთვის ვამბობდი: რაშია საქმე? ნუ თუ ღირსი არ არიან, ვინც ემსახურება ამ სახალხო საქმეს ამ გრძელ მანძილზე, გაუწიონ ანგარიში? ან და როგორ წარმოვიდგენდი, რომ თუ ვინმეს და რამეს ყურადღება მიექცეოდა, მაშინ ჩვენი წამებულ ხალხურ მუსიკის მოყვარულთ და მის მუშაკთ არ გაეღებოდა კარი?! მაგრამ ცხადი გახლდათ ერთი: —ჩვენ გვიბრძანებდენ და სამერმისოთ არა კეთდებოდარა.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ჩვენ იქ კომიტეტში მოკალათება გვაინტერესებდა—არა, ჩვენ გვაინტერესებდა მხოლოდ და მხოლოდ ნაყოფიერი მუშაობა.

ვიყოთ დარწმუნებულ იმაში, რომ მეტი გაკეთდებოდა; სახალხო სიმღერების შეკრება, ნოტებზე გადაღება და აუარებელი მასალებიც დაგროვდებოდა ჩვენი ხელოვნების სალაროში; რაც არ გაკეთდა და ვერც გაკეთდებოდა უამისოდ.

დავრწმუნდეთ, რომ აკადემიური ცოდნა და საზომი ასეთ საქმეში იმდენათ გამოსადეგი არ არის, რამდენად კარგი, რჩეული ხალხურ მომღერალის ცოდნა და გამოცდილება.

სპეციალისტებს მასალები უნდათ, ხოლო მასალები კი რჩეულ მომღერლებისაგან იქნებოდა შემოტანილი, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ეხლა მოუსმინოთ მოქ. ი. აბაშიძეს, რომელიც მდგომარე წლის პირველ რიცხვებში იძლეოდა ერთგვარი მუშაობის ჯამს „ლომისის“ ერთ ერთ ნომერში.

ის ბრძანებს: ბევრი რამ გაკეთდა სამუსიკო დარგშიო; სხვათა შორის არ სტოვებს უყურადღებოდ დასავლეთ საქართველოს. ამბობს—სოხუმში, ფოთში და სხვაგან დავაარსეთ სამუსიკო განყოფილებებიო და სხვა.

თუ ასეა—ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მოვახსენებ: სოფელ ხეთაში, სოფ. ქვალონში, ქალ. ზუგდიდში, ქალ. ახალ-სენაკში, სოფ. აბაშაში, სუჯუნის თემში (სამეგრელოში) არსებობენ როგორც სახალხო მომღერალთა გუნდები, აგრეთვე მისი დამხმარე საზოგადოებებიც. ვეკითხები ბ. აბაშიძეს: რა აქვს ამათთან საერთო?

მართალია ყოველი პატიოსანი მუშაკი ყოველ წლის ბოლოს თავის ნამუშევარის ანგარიშებს უდგენს საზოგადოებას, მაგრამ რა საკადრისია გადაჭარბება? სხვისი გაკეთებულის მითვისება?

ეხლახან „ტრიბუნის“ ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე ცნობილი კომპოზიტორის ნასაუბრევი რუსულ ენაზე ქართულ ხალხურ მუსიკის სიმაღლის, სიმდიდრის, შინა ბუნების შესახებ, რომელსაც გადმოგვცემს მოქ. ვ. ბუთლიაშვილი (ტრიბ. № 530 1923 წ.)

როცა დავათავე კითხვა ფრიად საყურადღებო წერილისა, ვსთქვი: თუ ასეთი ძვირფასი საგანძურებია ჩვენი ხალხური მუსიკა, რომლის შესახებ არა ერთი უცხო მუსიკოს კომპოზიტორებს გამოუთქვამთ თავიანთ შეხედულება და არა ერთი და ორი ხალხური ჰანგები გამოუყენებიათ მათი კომპოზიციებისათვის, მაშინ რაღა ჩვენ საუბრებით მარტო ვიყოთ კმაყოფილნი!?

მეგონა არაყიშვილის საუბრის ბოლოს მითითებულ იქნებოდა იმ საშუალებებზე, რომელიც ამ ძვირფას მასალებს ამოკრეფდა, მაგრამ ამაზე არას ბრძანებს კორესპოდენტი.

ნუ თუ ვერ გამოვნახეთ ისეთი ცნობილი და დაკვირვებული მუსიკოსები, რომ მას მოეცა რაიმე გეგმა?

იქვე მეპარება, არ იყოს ასეთები...

დღეს ლაპარაკის დრო კი არ არის, არამედ საქმის, ნუ ვითვისებთ სხვის ნამუშევარს, არამედ ყველამ რაც ვაკეთოთ, ის ვილაპარაკოთ, თორემ უსაფუძვლო ლაპარაკით თავსაც ვავნებთ და სხვასაც. ეს დარგი, რომელიმე ერთის საკუთრებას კი არ შეადგენს; ეს არის ხალხის ნაწარმოები, ერის კუთვნილება, რასაც დღემდი ჩამოუხწევია და მოგვეპოება, ამას უნდა მოვლა და პატრონობა.

დღეს ხალხს ეკუთვნის ყველაფერი; ქართულ-ხალხური სიმღერები თავისი ტრადიციით, ჩვეულებებით, ცეკვა-თამაშით უნდა აღზდგეს მკვდრეთით და ის იქნას შემოტანილი [illegible]

სოფ. აბაშა, 15 მა[illegible]

[illegible] ლოლუა.

## საუბარი გლეხთან

### ახალი მეურნეობა.

#### მინდვრის მეურნეობა.

გადავიდეთ ახლა მინდვრის მეურნეობაზე და მის სისტემაზე.

უმთავრესი მოთხოვნილება ჩვენი სისტემისა არის: „შეუყენებლად და შეუჩერებლად დამუშავება მიწისა“. ცხადია, რომ ჩვენი ახალი მეურნეობა ვერ დაკმაყოფილდება წელიწადში ერთხელ მარტო ერთი რომელიმე პურისთვის მიწის მოხვნა-მოთესვით. აუცილებლად საჭიროა დავიხმაროთ სხვა გამოსადეგი მცენარეები. ეს გარემოება კი ფრიად სარფა და სასარგებლოა, როგორც მიწის გაუკეთესებისათვის, ისე თვით პატრონისა და მისი მეურნეობისათვის. აი პრაქტიკულად ის სისტემა, რომელსაც მე ვურჩევდი დაახლოვებით მეურნეს: მომკათ ყანა მინდვრათ თუ არა, ნაყანევში შეზიდეთ დამიწებული ნეხვი და ერთი ვერშოკის სისქოდ მოუყარეთ თანაბრად მთელს მინდორს, შემდეგ შეიყვანეთ დაუყონებლივ გუთანი და მოხანით, როგორც გამოცდილებამ გირჩიოთ სიღრმით ორ ან სამ ვერშოკზე; თითონ მე ორს ვერშოკზე მოხვნას გირჩევდით. ამით საქმე არ წახდება და მოგებით კი ბევრს მოიგებთ, რადგანაც, თქმა არ უნდა, რომ ორ ვერშოკზე მოხვნა უფრო ადვილია, ვიდრე სამ ვერშოკზე და ნათესი გვალვასაც უფრო კარგად იტანს, ვიდრე ღრმად მოხნულზე. მოყრილი ნეხვი იმდენად ფეტვისა და სიმინდისთვის არ გვინდა, თუმცა ამათაც ძალიან მოუხდება, რამდენადაც იმ პურისთვის თუ ქერისთვის, რომელიც იმათ შემდეგ უნდა დავთესოთ. რაც შეეხება ხვნას, გუთანი ისე უნდა მომართოთ და დააყენოთ, რომ ბელტის სიგანე, თუ ორ ვერშოკზე მოხნავთ სიღრმით, ოთხ ვერშოკზე მეტი არ უნდა იყოს, ხოლო, თუ სამ ვერშოკზე მოხნავთ სიღრმით, მაშინ ბელტს ექვსი ვერშოკი უნდა მისცეთ სიგანე. უნდა ეცადოთ აგრეთვე, რომ ხვნის დროს ბელტი წვებოდეს ბელტზე გვერდულად, ეს იმიტომ, რომ ჰაერი ქვეშიდამაც თავისუფლად უვლიდეს და რაც ქვეშ მოჰყვება ბელტებს—ბალახი თუ ძირები და ნეხვი, უფრო ჩქარა დალპეს და მიწად იქცეს.

ასე მოხნული მიწა მოთესეთ ჯერ ფეტვით ანუ სიმინდით, რომელიც გერჩიოთ. ფეტვსა თუ მოასწრო მოწევა, გათიბეთ, გალეწეთ და მიიღებთ ფეტვსაც და ბურდოსაც, რომელიც ითვლება საუკეთესო საკვებად საქართველოსთვის. თუ ვერ მოიწიოს, როცა თავ-თავი ამოიყაროს, ერთი კვირა დააცადეთ, გათიბეთ, გააშრეთ და თივის ძირებად დადგით, ფეტვი იქნება ეს თუ სიმინდი.

გამოზიდოთ ფეტვი თუ არა, ჩვენი სისტემის ძალით, იგი კვლავ დაუყოვნებლივ მოხანით, ახლა კი სრულიად საკმაო იქნება ორ ვერშოკზე და დასტოვეთ ასე ზამთრის პურისა თუ ქერის დათესვამდე, რომ მიწა დაჯდეს. პურისა თუ ქერის თესვის შესახებ უნდა გითხრათ, რომ არამც და არამც არ დაიგვიანოთ მათი თესვა. ისეთ დროს უნდა დათესოთ, რომ ვიდრე ზამთრის სიცივე დადგებოდეს, ნათესი უკვე კარგად იყოს დაჯეჯილებული, სიმაღლით ერთ ციდამდე მაინც იყოს ამოსული და გაზრდილი, თორემ, თუ სიცივეში დათესეთ, ზოგჯერ შეიძლება ნათესი სულ გაგიფუჭდეთ, თესლი გალხვება, დალპება, აღარ ამოვა და თუნდაც რომ მოასწროს ამოსვლა, სიცივე მოსტრუსავს და არ გაიზრდება.

არის ერთი ხალხური პრაქტიკული ნიშანი, რომელიც შეუმჩნევიათ ევროპიელ მხვნელ-მთესველებს და ამბობენ, რომ უებარი ნიშანია პურის თესვის დროისა.

აი ეს ნიშანი: როცა ნახოთ, რომ შემოდგომის მოხნულ მიწებს ობობას ქსელის მსგავსი ძაფები ებმება მთელს ნახნავს, იცოდეთ, რომ ეს [illegible] საუკეთესო დროა პურის თესვისა და თქვენც ნუღარ დააყოვნებთ, დაფარცხეთ თქვენი უკვე მოხნული მიწა ჯვარედინად, ე. ი., ვსთქვათ, ჯერ ქვემოდან ზევით და პური დათესეთ. ახლა გარდიგარდმო დაფარცხეთ, რომ ნახნავი კარგად გასწორდეს, გოროხებიც დაწვრილდეს და თესლიც უკეთ ჩაიფლოს მიწაში.

დათესილი თესლი დაახლოვებით ამოდის შემდეგ ვადებში:

| | | |
|---|---|---|
| პური ზამთრისა | 5 | დღეში; |
| პური გაზაფხულისა | 6 | „ |
| სვილა ზამთრისა | 4 | „ |
| სვილა გაზაფხულისა | 4 | „ |
| ქერი | 5 | „ |
| შვრია | 6 | „ |
| სელი | 7 | „ |
| სიმინდი | 7—12 | „ |
| ფეტვი | 4—14 | „ |
| კარტოფილი | 14—28 | „ ამინდის მიხედვით. |

დასათესი თესლი პურისა თუ ქერისა და საზოგადოთ ყოველი მცენარისა უნდა იყოს უთუოდ სარჩევ მანქანაში გატარებული, პირველი ხარისხისა, და თუ მანქანა არ გეშოვებათ, კარგად [illegible] ბეჯითად უნდა დაარჩევინოთ, რომ თესლს, [illegible] შეიძლება ნაკლებათ შეჰყვეს სხვა, თუ თავისი [illegible]

## სურათები ქართლის სოფლის ცხოვრებიდან.

მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი მამულების ჩამორთმევის შესახებ დღეს ქართლში მთლიანათ განხორციელებულია,—ვისაც ჩამოსართმევი მიწები ჰქონდა ჩამოართვეს, მისაცემი იყო,—მისცეს, ერთის სიტყვით, დღეს ქართლის სოფლებში კულტურული მუშაობაა საჭირო, დანარჩენი თითონ მოვა. ამიტომ მე სრულიად მომეტებულად მიმაჩნია ზოგიერთების უთავბოლო ლაპარაკი, რომლებიც ეწვევიან ხოლმე სოფლებს და მათი მიმართვა მცხოვრებლებისადმი იმითი იწყება, რომ შეაქვთ მცხოვრებთა შორის მტრობა და შური. საღი გონების ადამიანი ამათი ლაპარაკიდან გამოიტანს უსათუოდ იმ შთაბეჭდილებას, რომ სოფლად ყოფილა იმისთანა ელემენტი, რომელიც კანონ გარეშეა გამოცხადებული და მათი შეურაცყოფა ყველას შეუძლია.

ამისთანა ლაპარაკი სოფლად ხალხთან ყოვლად შეუწყნარებლად მიმაჩნია; ვინღაა, ან სადღაა ეხლა სოფლად თავადი, აზნაური? ვინ ზის დღეს უმუშევრად გულ-ხელ დაკრეფილი და ვინღა შეჰყურებს მთა ბარისა და ღალების შემოსავალს იმედის თვალით? არის განა კიდევ სოფლად ამისთანა ვინმე? მე რომ მკითხოთ ლეჩხუმისა და გარეთ კახეთის ვითარება, შეიძლება ბევრი უსწორ-მასწორო რამე ამბავი გითხრათ, მაგრამ როგორც ქართლელი, ამას კი დანამდვილებით ვიტყვი, რომ დღეს ქართლში აღარ არის თავად-აზნაურობა, იგი მიწის მუშად გადაიქცა, რადგანაც დარწმუნდა, რომ მის ფიზიკურ არსებობას მხოლოდ დაუღალავი შრომა გადაარჩენს. აზნაურის ჩამომავლობისა გახლავართ, ვიცნობ ბევრ აზნაურს გარგარეთლებს და სხვებს და ერთი მიბრძანეთ, რომელი გლეხი არა სჯობიან ჩვენ ყოფილ აზნაურებსა. სხვა არა იყოს რა, ხალხი აღარ მიდის ყრილობაზედ,—ვიცით რასაც გვეტყვიან—ერთსა და ორს უთქვამს: მტრობასა და შურს რათ აგდებენ ჩვენშიო.

მართალია ამნაირი პროპაგანდა შეიძლება ოდესმე საჭირო იყო, მაგრამ ეხლა კი სულ სხვაა საჭირო. ეხლა მეტი საქმიანობა და ნაკლები ლაპარაკი—აი რა ესაჭიროება სოფელს.

საქმიანობა სოფლად კულტურულ მუშაობაში უნდა გამოიხატებოდეს. სამწუხაროდ ბევრი ეხლანდელი მომუშავენი ამისთანა მუშაობისათვის არ ვარგანან, რადგანაც თითონ აკლიათ კულტურული გაწვრთნა და აი, მეეჭვება, რომ ამისთანა პირებმა, აილონ ნამდვილი ალლო ხალხის მოთხოვნილებისა. ისინი ძველი დროის მოხელეებს უფრო მომაგონებენ და წააგვანან, მხოლოდ ერთის განსხვავებით, რომ პირველნი ბრძანებლობის კილოთი ლაპარაკობდნენ, ესენი ყველას „ამხანაგს“ უწოდებენ; საერთო კი მათ შორის ბევრია; როგორც წინათ, ეხლაც ნაკლებად იციან ხალხის სურვილები, ნაკლებად იხედებიან მათ გულში და სულაც არ უწევენ ანგარიშს მასსის ფსიხოლოგიას, ეს იმის ბრალია, რომ იგინი მშრომელ ხალხს გარეშე სდგანან და ამიტომ როგორც წინათ, ეხლაც უნდოთა და ეჭვის თვალით უყურებენ მოხელეებსაც, მათ სიტყვასაც. აბა, ცოტა ღრმათ წადექით.

ხალხში, რას ლაპარაკობენ, რას ნატრულობენ, იციან ეს მთავრობის მოხელეებმა? „წავიდა, ეგ არის, მორჩა; ახ დალოცვილო დროებავ, ახ, სადა ხარ ძველო დროვ!“ აი ხალხის ზრახვა, აი ხალხის სულის კვეთება! რომ გადავხადოთ ფარდას, აი, ამ სინამდვილეს დავინახავთ; ჩვენთვის კა სინამდვილეა საჭირო, საჭიროა იცოდეს მთავრობამ ნამდვილი ავადმყოფობა ხალხისა, რომ მალე მიაშველოს წამალი და მოარჩინოს ერი ამ სენისაგან.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლიან ჩითი გავხადოთ ორ შაურათ, საპონი რვა კაპიკათ, პური სამ კაპიკათ, შაქარი ცამეტ კაპიკათ. სამაგიეროთ ჩვენი ხელიდან კი ბევრი რამ გამოვა იმისთანა, რომელიც დაავიწყებს ხალხს ნიკალას დროსაც და დაუმტკიცებს ნატვრისა და ზრახვის უსაფუძვლობასაც. ჩვენ შეგვიძლიან სოფლად ავაშენოთ სკოლები, აღვადგინოთ კოოპერატივები და არსებული სამკითხველო-ბიბლიოთეკები და, სოფლის საკრედიტო დაწესებულებანი,—აი რანაირი კულტურული მუშაობა უნდა გაჩაღდეს სოფლათ.

რევოლიუციამ სხვასთან ერთად სკოლებიც ბევრი იმსხვერპლა სოფლად, არევ-დარევის დროს ხალხმა სწავლას ყური აღარ უგდო, ამიტომ იგი ბევრგან დაიკეტა; ამას გარდა, ამ სამი-ოთხი წლის წინათ ქართლის შუა გულში მოჰხდა მიწის ძვრა, რამაც დიდი ხაზი შემოფარგლა; ამ წრეში აუარებელი სოფელი მოჰყვა, სადაც ულმობელმა სტიქიამ სკოლის შენობები მიანგრ-მოანგრია და მათში მეცადინეობა შეუძლებელი გახადა. ამისთანა სოფლებში აუცილებლივ უნდა აშენდეს დანგრეული სკოლები, რომ ხელმეორედ დაუბრუნდნენ მასწავლებლები თავის კულტურულ მუშაობას ხალხში.

როგორ აშენდეს სოფლად სკოლის შენობა? არც წინათ და არც ეხლა მთავრობა შენობის აგებაში ვერავითარ მონაწილეობას არც იღებდა და ვერც მიიღებს; ეს რომ მომხდარიყო, ხალხი, ის სოფელი სასაცილოთ ასაგდები იქნებოდა; მშრომელი ხალხისაგან არის ქალაქის სრა—სასახლები აგებული და ნუ თუ სოფელი თავის სკოლისთვის შენობას ვერ ააშენებს? საჭიროა მხოლოდ სოფელს დაუმტკიცო საჭიროება სწავლისა, შენობისა და ხალხი წამოგყვება. ქართველები ჩამორჩენილნი, ჯიუტი ხალხიც ვართ, მაგრამ თუ დავრწმუნდით საქმის სიკეთეში, საქმიანობაში, საფუძვლიანობაში, ბოლო მიყოლაში ვერავინ გვაჯობებს,—ამას, როგორც ქართლელი და მცოდნე ჩემი სამშობლოს კუთხისა, თავის ქებით არ მოგახსენებთ.

ამიტომ ვერ დავეთანხმები მთავრობის მოხელეებს, როძელთაც სკოლისა თუ სამკითხველოს შენობის საშოვნელად სულ ადვილი გზა აურჩევიათ; დღეს კი ეს მოხელეები სოფლებში სახლების ჩამორთმევას ჰქადაგობენ და უთითებენ; აი ის სახლი კარგია სასკოლეთ, სამკითხველოსათვის და სხვა. ამისთანა ტაციაობის ინსტინქტების გაღვიძება და წაქეზება ხალხში მე ყოვლად შეუწყნარებლად მიმაჩნია; მოუხმე ხალხი პატიოსნურ, კეთილშობილურ მუშაობისკენ, აი რა უნდა იყოს დევიზათ სოფლად ინტელიგენტისაც, მოხელისაც და მთავრობისაც. მაგალითებს მოგახსენებთ: სოფ. ერთაწმინდაში ასსამოცი კომლია, ოფიციალური აღწერილობით, აქ ითვლება ორას ორმოცდა ათი უღელი ხარი და კამეჩი, ტყე სოფლიდგან ვერს ნახევარზეა, (ზოგს თონისთვის ფიჩხი ზურგითაც კი ჩამოაქვს) შვიდი რვა კაცი პროფესიით კალატოზია, ხუთი—დურგალია, საკირეს თითონ გლეხკაცობა სწვავს და კირს ჰყიდის და აბა ერთი მიბრძანეთ: ეს სოფელი რომ ერთ კვირა დღეს აამოძრავო ხისთვის, ქვისთვის, ქვიშისთვის, ვერ ააგებს სკოლისთვის, სამქითხველოსთვის კოოპერატივისთვის შენობას? მე მოგახსენებთ რომ ამოდენი მუშა საქონლის ერთ დღეს ამოძრავებით სამ-სართულიანი სახლი აშენდება,—საჭიროა მხოლოდ მონდომება და გულწრფელი პროპაგანდა, არამც თუ წაართვა სამკითხველოსთვის ერთი ოთახი იმას, ვისაც ორი ოთახი აქვს,—თუნდაც უოჯახო და ერთი კაცი იყოს ამისთანა სახლის პატრონი.

მომეტებულია ლაპარაკი მორალურ მხარეზედ ხალხი იმ შენობას შეიყვარებს და დასდებს ფასს, რომელზედაც თითონ დახარჯავს და დასდებს ამაგსა. აბა გაბედოს და ამისთანა შენობას ჩამოაგდებინოს ვინმემ კენჭი; იქ ვერავინ გაბედავს ამასა, სადაც ყველა პატრონი და ყველა მოამაგეა შენობისა. ასე უნდა იქმნეს სოფლად სკოლების აშენება და ასეთი ზნეობრივი ღირებულობის თვალსაზრისით უნდა იქნეს სკოლის დაარსებაც მშრომელ ხალხში.

სოფ. ზემო-ხანდაკში სკოლის შენობა მიწისძვრამ იმსხვერპლა, აქ ითვლება სამასი კომლი, ოფიციალური აღწერილობით აქ 420 უღელი მუშა საქონელია და დღემდის კი სოფელს ვერ მოუხერხებია აავოს ან განაახლოს დანგრეული შენობა სკოლისა და დაიწყოს სწავლა. სად არის სთა[illegible] ბის მოხელე? რატომ არ მოვა და არ აამოძრავებს ხალხს ამისთვის? განა მარტო იმისთანა სოფელში უნდა იყოს სასურველი სწავლის გაჩაღება, სადაც პატრონებს არა სპეკულიანტობით ორი ან [illegible] აუგიათ და მათი წართმევაც ადვილია?

სკოლები უნდა დაუყონებლივ აშენდეს ყველა სოფელში და ამშენებლობაში თვით სოფელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ქართლში ყველა სოფელს გამოენახება სკოლის აშენების საშუალება და ყველა სოფელს მოეპოვება საუკეთესო ადგილი ამისთანა შენობისთვის.

აქ აღნიშნულ ზემო ხანდაკელებს კარგა ხანია სკოლისთვის დამზადებული აქვს ქვა, ქვიშა, კირი და ცოტა ხის მასალაც, კალატოზიც და დურგალიც აქ პროფესსით ბლომად არიან, სკოლისთვის მართლაც რომ საუკეთესო ადგილია ამორჩენილი, მაგრამ სოფელი უყურადღებოდ არის დატოვებული. დაუმატეთ ამას ისიც, რომ მთავრობამ ზემო-ხანდაკის სკოლა, რაღაც მოსაზრებით, შტატს გარეშე გამოცხადა და სოფელს შემოუთვალა: თუ სწავლა-განათლება გესაჭიროებათ, თქვენ თითონვე იზრუნეთ მოსწავლებლებზეო. ასეთი მზრუნველობით სოფლის გულს ვერ მოვიგებთ.

თუ მთავრობას არ შეუძლია ზემო-ხანდაკის სკოლისთვის ხაზინიდგან ფულის გაღება, თითონ სოფელსვე აქვს საშუალება იშოვოს ეს ფული; სოფელმა ჯავახიშვილს ჩამოართვა შიგ შუა სოფელში მდებარე 16 დღის ზვარი, რომელიც გაიყაფა და ნახევარი მცხოვრებლებს დაურიგდათ სასახლ-კარებად, ნახევარი სკოლისთვის იქმნა დარჩენილი; ეს უზარმაზარი ზვარი სულ კაკლით იყო შემოვლებული; რომ არ შემცდეს, უკანასკნელი 60 ძირი კაკალი იქნება ზვრის გარშემო; სანამ პატრონი მფლობელობდა, კაკლის ხეებს საფრთხე არ მოელოდათ, როგორც კი ჩამოართვეს, მიესია მთელი სოფელი და ეს ამოდენა კაკალი სულ შემოქერქეს და 1—2 წელიწადიც რომ გავიდეს, ეს ძვირფასი ხეები ერთიანად ისე გადახმება რომ მე მგონია მასა[illegible]

ცუდი თესლი. საზოგადოთ კი გირჩევთ მუდამ წონით დათესოთ ხოლმე და არა აწყვით, რადგანაც დამტკიცებულია, რომ, რამდენათაც მძიმე თესლს დასთესავთ, იმდენადვე მეტს მოსავალს მიიღებთ. ბევრს ჰგონია, რომ, რამდენადაც მეტს ხორბალს დასთესავ, იმდენადვე მეტს მოსავალსაც მიიღებო, მაგრამ ეს მართალი არ არის:

გამოსცადეს ბევრჯელ და აი რა აღმოჩნდა: დათესეს სამ დესეტინა მიწაზე სამი წონა პური: პირველ დესეტინაზე დათესეს 10 ნახ. ფუთი ხორბალი და მიიღეს 172 ფუთი; მეორეზე დათესეს 13 ფუთი და მიიღეს 164 ფუთი, ხოლო, მესამე დესეტინაზე დათესეს 16 ფუთი და მიიღეს 160 ფუთი ხორბალი. აშკარაა, რომ, რამდენადაც ნაკლებს დასთესავთ, მაგრამ კარგად და თანაბრად, იმდენადვე მეტს მოსავალს მიიღებთ, ე. ი. დიდრონ და უხვ-მარცვლიან თავთავებს.

ეცადეთ აგრეთვე, რომ სათესლედ მუდამ ცალკე გალეწოთ ხოლმე ამორჩეული თავთავები. ეს ასე უნდა მოახდინოთ: როცა მომკელები მკიან თქვენს ყანასა და ძნებს ყირაზე სდგამენ იქვე ნაყანევში, აიღეთ მაკრატელი (ვაზის გასასხლავად რომ ხმარობენ, ან საკერავისა), გაიყოლიეთ ერთი მუშა მოზრდილი კალათით, დაუარეთ ყველა ძნებს, დააჭერით საუკეთესო თავთავები და კალათაში ჩაყარეთ, ხოლო, აქედან გოდრებში. ამ სახით შერჩეული თავთავები ცალკე გალეწეთ კალოზე და მიიღებთ საუკეთესო თესლს.

როცა ზაფხულში მომკათ პური თუ ქერი, მეურნეობა კვლავაც ისე უნდა აწარმოვოთ, როგორც დავწერეთ. ოღონდ ფეტვისა და სიმინდის მაგივრად, ყანების მომკის შემდეგ, შეიძლება დათესოთ კარტოფილი, ან ნესვ საზამთრო-კიტრი, რადგანაც დამტკიცებულია, რომ ამათ შემდეგ მუდამ კარგი მოსავალი მოდის პურისა. ოღონდ, შემოდგომაზე, ამოიღოთ კარტოფილი თუ არა და მოილიოს ნესვ-საზამთრო-კიტრი, მოხანით მაშინვე ორ ვერშოკზე სიღრმით და დასტოვეთ ასე პურისა თუ ქერის დათესვამდის.

ჩვენი სისტემა იმით არის სარფა და კარგი, რომ თივა და საზოგადოთ საქონლისათვის საკვები მუდამ საკმაო გექნებათ, ამიტომ საქონელსაც მუდამ შინ იყოლიებთ, საძოვარზე აღარ ატარებთ, ნეხვიც ამის გამო მუდამ ბევრი გექნებათ და შეგეძლებათ, როგორც ზემოთ დავწერეთ, ყოველწლივ გააპოხიეროთ თქვენი საყანე ადგილები.

ეცადეთ, რომ ყოველი პურეული, ე. ი. პური თუ ქერი და სიმინდი უთუოდ სათესი მანქანით დათესოთ, რადგანაც ჯერ ერთი, რომ დესეტინაზე სამი-ოთხი ფუთით ნაკლები თესლი დაგჭირდებათ და მეორე, მანქანა ყოველ თესლს ერთნაირ და სწორ სიღრმეზე სთესავს და ამიტომ მოსავალიც ერთად ამოდის, ერთად მწიფდება და ყველა ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, მანქანა იმდენად ღრმად ჰმარხავს თესლს მიწაში, რომ ყვავ ყორანი და მისთანა ფრინველი ვერას აწყობს და ნათესი ამ მხრივაც დაუზიანებელი რჩება.

თუ ვინიცობაა სიმინდი გინდოდეს მოიყვანოთ სატაროდ, მაშინ, საზამთროდ მოხნულში პურისა და ქერის მაგივრად უნდა დასთესოთ ერთი შესანიშნავი ბალახი, რომელსაც ჩვენებურად **ბურუსიანი ქვიშნა** ჰქვიან და რუსულად კი **„мохнатая вика“**. ბურუსიანს იმიტომ ეძახიან, რომ ღეროებზე, ბურუსი აქვს და იმით არის შესანიშნავი, რომ ამ ბალახის თესვა შემოდგომაზედაც შეიძლება, როგორც ზამთრის პურს ვთესავთ ხოლმე და გაზაფხულდება თუ არა ჩვენ უკვე აპრილში მზათ გვექნება მშვენიერი ბალახი, რომელიც აყვავდეს თუ არა, გათიბეთ, იმავ დღეს პატარ-პატარა ბულულებად დააგროვეთ იქვე, მეორე დღეს უფრო დიდ ბულულებად და ბოლოს თივის ძირებათაც დადგით. ეს ბალახი იძლევა დესეტინიდამ 1500 ფუთამდე მწვანე ბალახს და თუ გაახმობთ სამას ფუთს საუკეთესო თივასა. ოღონდ, როცა მინდორი მოთესოთ ამ ბალახის თესლით, ვსთქვათ, ზევიდამ ქვეით ან ქვეიდამ ზევით, ახლა გარდიგარდმო სვილა ან ქერი დასთესეთ, რადგანაც ქვიშნა—ბალახმა წვრილი სუსტი ღერო იცის და თავის-თავად ფეხზე დგომა არ შეუძლიან და რომ კარგად გაიზარდოს, უნდა სხვა მცენარეს აეხვიოს. აი ასეთ მცენარედ მას სვილა ან ზამთრის ქერი გამოადგება. თვითეულ დესეტინაზე თითონ ქვიშნა უნდა დათესოთ 6—8 ფუთი, ხოლო სვილა ანუ ქერი 3—4 ფუთი და, თუ მარტო სათესლედ გინდათ დათესოდ ქვიშნა, მაშინ ქვიშნა აიღეთ 5 ფუთი და სვილა თუ ქერი 3 ფუთი.

რადგანაც ამოდენა თესლის სყიდვა ერთბაშად გაუძნელდება მეურნეს, ამიტომ უმჯობესია, საპირველხანოდ იშოვოდ სადმე ჯერ ოციოდე გირვანქა, საკუთარი თესლი მოიყვანეთ და სამერმისოდ საკმაო თესლი გექნებათ, რუსეთის ცნობილი მწერალი—მეურნენი ძალიან აქებენ ამ ბალახს და ურჩევენ ყველას მის თესვას ზამთრის წინ, რადგანაც გაზაფხულდება თუ არა, როცა არც საძოვარზე იშოვება ბალახი და აღარც შინ არის ხოლმე საკვები საქონლისათვის, ეს ბალახი დიდ შეღავათს და დახმარებას მისცემს მეურნეს. ოღონდ, რადგანაც ნამდვილი ქვიშნა—ბალახის თესლი იშვიათად იშოვება, ამიტომ მიწად-მოქმედების კომისარიატის საშუალებით გამოიწერეთ იგი, იქ მცოდნე ხალხი ჰყავთ, არ მოგატყუებენ...

ჰო, და იმას მოგახსენებდით, რომ თუ კი სიმინდი გინდათ მოიყვანოთ სატაროდ, მაშან შემოდგომაზე ჯერ ამ ქვიშნა-ბალახს დასთესავთ სვილასთან თუ ქერთან ერთად, ხოლო, როცა გასთიბავთ და თივათ გადმოზიდავთ მინდვრიდამ, მაშინ დაუყოვნებლივ მოხანით და ახლა სიმინდი დათესეთ, მიიღებთ მშვენიერ მოსავალს. შემოდგომაზე, როცა სიმინდი მოკრიფოთ და ჩალა გამოზიდოთ, კვლავ მოხანით და დასტოვეთ ასე ზამთრის პურისა თუ ქერის დათესვამდე. მიიღებთ მშვენიერს მოსავალს, რადგანაც ქვიშნა-ბალახი და სიმინდი ძლიერ აკეთებენ მიწას.

ასეთია სისტემა მთელი ჩვენი მეურნეობისა. მშრომელნო! საქართველოს მიწა-წყალი ელის თქვენს გამოფხიზლებას და იმ უბრალო ჭეშმარიტების შემეცნებას, რომ მიწის იდუმალ ძალთა შეუყენებლად და შეუჩერებლად მოქმედების გარეშე შეუძლებელია ჩვენი წინსვლა და კეთილდღეობის მიღწევა!..

ნურც მიწის მოღლის გეშინიათ ჩვენი წესით მიწის დამუშავებისგან, რადგანაც კარგად დამუშავება მიწისა იგივე ნეხვით გაპოხიერებაა და უფრო ძლიერი საშუალებაც მისი გაუკეთესებისათვის, რადგანაც ხშირი დამუშავებისაგან მიწა იფხვნება, მეტს წვიმას, ნამს, ჰაერს, სინათლეს ითვისებს და ამით ცოცხლდება და ძლიერდება—ახლდება თვით მიწაცა...

ვეცადოთ ახლა მოკლე და გარკვეული სამეურნეო კანონები გამოვიყვანოთ მთელი ჩვენი ნალაპარაკევიდამ და თან მეცნიერული განმარტება მივცეთ თვითეულს მათგანს, მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს.

**ივ. როსტომაშვილი.**

## პროვინციაში

**ბორჯომის რაიონი.** სასოფლო სამეურნეო აღწერა ბორჯომის რაიონში 2 აგვისტოდან დაიწყო. აღწერას ხელმძღვანელობს ბორჯომის სტატისტიკური ბიურო. ინსტრუქტორათ რაიონში დანიშნულ იქმნა ახობაძე, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო მალე ის შეცვლილ იქნა გიორგი ვარდოსანიძით.

ბორჯომის საალწერო რაიონში შედიან შემდეგი თემები: გუჯარეთის, ბაკურიანის, წაღვერის, ყვიმისის, ახალდაბის და დვირის (გამოყოფილია ახალციხის მაზრიდან). აღწერა უკვე დასრულდა გუჯარეთის, ბაკურიანის და წაღვერის თემებში. მუშაობა არაჩვეულებრივ პირობებში სწარმოებს; განსაკუთრებით დამაბრკოლებელი არის მუშაობისათვის ის ამინდები, რომელიც უკანასკნელ ხანებში დადგა და რომელიც ხელს უშლის გადასვლ-გადმოსვლას სოფლიდან სოფელში; ტალახი, სიცივე, წვიმები,—ყოველივე ეს დიდი დაბრკოლებაა ისეთი სამუშაოსათვის, როგორსაც სასოფლო-სამეურნეო აღწერა წარმოადგენს. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა აღწერა გუჯარეთის თემში, სადაც უმთავრესად ოსები მოსახლეობენ. საჭირო გახდა თარჯიმანების შოვნა და აღწერის გართულება, რადგან მრავალ ოსს არა ესმის რა გარდა საკუთარი ენისა; ვისაც წარმოდგენილი აქვს სირთულე ამ აღწერის ფურცლების შევსებისა და ისიც თარჯიმანების დახმარებით,—მისთვის ნათელი უნდა იქნეს ის გარემოება, თუ რამდენად ენერგიული მუშაობის გამოჩენა დასჭირდებოდათ აღმწერლებს. მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებათა, ინსტრუქტორი აღმწერლებთან ერთად წარმოუდგენელი მუყაითობით ასრულებს ამ უჩინარს, მაგრამ უდიდეს საქმეს.

თემებში ყველგან ხდება წინასწარი ყრილობები ხალხის მოსამზადებლად აღწერისათვის; სოფლელებს უმარტავენ აღწერის მიზნებს, მნიშვნელობას და მოუწოდებენ დახმარებისაკენ. ხალხი ნდობით ექცევა აღწერას და კეთილსინდისიერად იძლევა ყოველგვარ ცნობებს.

ადმინისტრაცია თითქოს დახმარებას უწევს აღმწერლებს, მაგრამ ხშირად ვერ იჩენს საჭირო უნარსა და ყურადღებას.

აღმწერლები ვერ არიან უზრუნველყოფილნი მუშაობისათვის; არა აქვთ საგზაო ხარჯები, არ არიან მომარაგებულნი სურსათ-სანოვაგით და სოფელ-სოფელ უხდებათ თავის დაკმაყოფილება. ეტყობა, ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო განსაკუთრებულ ხელმძღვანელობას ეწევა აღმწერთა ხარჯზე.

ამათ გარდა მუშაობას აძნელებს სოფლების ერთმანეთისაგან შორეული მანძილით დაშორება. მოკლე ხანში აღწერილი იქნება დანარჩენი თემებიც: ყვიბისის, ახალდაბის, დვირის და ბორჯომის სოფლის მოსახლეობა.

აღწერის პროცესში დაკვირვებით იმის თქმაა შესაძლებელი, რომ მეკომურთა რიცხვი იმაზე მეტი არის, ვიდრე ადმინისტრაციის ცნობების მიხედვით.

აღწერა 15 ენკენისთვისთვის უნდა დამთავრდეს, მაგრამ რადგან რაიონს ახალი სოფლები შემოემატა ახალციხის მაზრიდან, მეტად საეჭვო იქნება ამ ვადამდე მუშაობის დამთავრება. **გოჩა.**

### წაღვერის სანატორიუმი

ვისაც სურს გაცნობა იმ მზრუნველობასთან, როგორსაც მუშებისა და გლეხებისადმი იჩენს სახელმწიფო მათი ჯანმრთელობის აღსადგენად და დასაცავად,—მან უპირველესად იმ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობას უნდა გადახედოს, რომლებითაც მოფენილი არის ჩვენი კურორტები და სააგარაკო ადგილები. უდიდეს ღვაწლს ამ მხრივ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანატორიუმები იჩენენ, რომლებიც ზოგ ადგილას საუცხოვოთ არის მოწყობილი და არსებულ პირობებში მაქსიმუმ შესაძლებლობას იძლევიან საზოგადოების მშრომელი ნაწილის ჯანისა და ღონის გამომრთელებისათვის.

ამ მიზანს ემსახურებოდა წაღვერის ორი სასანატორიუმი შარშანაც, მაგრამ ის პირობები, რომელშიც შარშან უხდებოდა მათ არსებობა, დღევანდლისაგან სრულიად განსხვავდება. გასულ წელს წაღვერში ორი სანატორიუმი არსებობდა, რომელშიც 120 ავათმყოფი იყო. წელს წაღვერში ერთი სანატორიუმი არსებობს, რომელშიაც გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ყოველმხრივ, ვიდრე შარშან იყო.

მზადება სანატორიუმის გასახსნელად ჯერ კიდევ 17 ივნისიდან დაიწყო; სანატორიუმის გამგეთ დაინიშნა ექიმი ყ. ხუსკივაძე, სანატორიუმის ექიმებათ: შალვა მიქელაძე, კ. ლორთქიფანიძე და ლაბორანტი ფალიაშვილი. სანატორიუმის შენობის შესაკეთებლად წელს არაფერი გაკეთებულა და ამაში ბრალი მიუძღვის კურორტთა სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილებას; მიუხედავათ იმისა, რომ ამ განყოფილების გამგემ ადგილობრივ დაათვა-

---

დაც აღარ გამოდგეს. ზოგი ერთას ვარაუდით, ამ კაკლებს უნდა გამოვიდეს 6—7 ათასი ფუთი მასალა. ვინ არის გულშემატკივარი? ვინ უნდა მოვიდეს და ვინ უნდა აუგოს სოფელს შენობა სკოლისა, რომ ზედ მოახმაროს ამ ძვირფასი ხის ფასი, თუ არა ისევ მთავრობა? იქნება საქართველოს მთავრობას იმედი აქვს ახალ ქალაქის სარაიონო კომიტეტისა? სასურველი კია ქართლის სწავლა-განათლების საქმე ამათზედ არ მიავდოს არავინ.

უფრო უარესს მდგომარეობაშია სწავ.-განათ. მხრივ გაცილებით ზემო-ხანდაკზედ უდიდესი სოფელი დოესი. ამ სოფელში სკოლა სულაც არ მოიპოვება, თუმცა სოფელი შეძლებულია და მოწადინებულიც იქონიოს სკოლა. მუშა ხარი აუარებელი, კალატოზობისა და დურგლობის პროფესიის ხალხიც ბლომად. ოთხას კომლამდის მცხოვრები და სკოლა კი არ არის,—სწორეთ, რომ დაუჯერებელია ეს ამბავი, მაგრამ ესე კია დაუმატეთ ამას ისიც, რომ დოესსაც ის ბედი ეწვია, რაც ზემოხანდაკსა,—ეს სოფელიც მთავრობამ შტატს გარეშე გამოაცხადა. გამიგია კი,—ესა და ეს პირი კანონ გარეშე არიან გამოცხადებულნიო, მაგრამ სწავლა—განათლებაში შტატს გარეშე გამოცხადება სოფლისა კი არ გამიგია. ეს სოფელი არამც თუ სახალხო სკოლას და მთლიან შრომის სკოლასაც კი შეინახავს.

ხოვლე უზარ-მაზარი სოფელია, შვიდას კომლზედ მეტი ითვლება მცხოვრები, ხალხი გამრჯე, აუარებელი მუშა საქონელი და აქ სამ განყოფილებიანი სახალხო სკოლა კია, მერე იცით სად არის ეს სკოლა მოთავსებული? ჩამორთმეულ შეუფერებელ შენობაში. აბა ეს სოფელი გურია სამეგრელოში იყოს? ამოდენა სოფლებში იქ არამც თუ პირველ დაწყებითი სასწავლებლები, ტეხნიკუმიც კი არსებობს.

მეტეხში ორი სასწავლებელი იყო, ოროლ საფეხურიანი; დაიკეტა ერთი და ამ ხუთას-ექვსას კომლიან სოფელში აბ ჟამათ ერთი ორ სართულიანი სასწავლებელი ღიაა. ესე ხომ არას დროს იყო მიგდებული და მივიწყებული ეს სოფელი.

სასირეთს რომ კერძო პირი არ გამოჰჩენოდა, ეს სოფელი სასწავლებელს ვერ ეღირსებოდა.

ახალ-ქალაქს თავის გულშემატკივრები ჰყავს, აქ ბლომათ მოიპოვებიან ჯერ კიდევ სქელ ჯიბიანები, ამათთვის თამასუქებისა და ჩარჩობით გარემო სოფლებში მცხოვრებლების დავალიანება ჯერ კიდევ საბოლოვოთ არ წასულა. აქ მშვენივრად შეინახავდნენ მთლიან შრომის სკოლასაც; მაგრამ მოხდა სასწაული: შრომის სკოლის პირველი ორი კლასი მიკეტეს იმის მაგივრათ, რომ მესამე და მეოთხეც მოებათ და ამ ნაირათ დარჩა პირველ დაწყებითი ოთხ განყოფილებიანი სკოლა. ამ ცოტა ხანში აქ ბძანდებოდა ელისაბედაშვილი; მისი აქ მოსვლა დიდი ყრილობით აღინიშნა, თითო სოფლიდგან ოცდათექვსმეტი კაცი იყო მიწვეული ახალქალაქში; ყრილობაზედ ამხ. ელისაბედაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა და დაჰპირდა ახალქალაქს-მთელს გემნაზიას; ამ ნაირათ ახალქალაქი მოელის დანაპირების შესრულებას.

სოფლებს ნიაბს და ბორტას, საცა სამართალია, ეკუთვნოდა ორ სართულიანი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, აქ კი სულაც არ არის მინაგვარისი რამ.

გალმა თემის ხეველებსა და კაპრაშიაანთ უბანს ეკუთნის და კიდეც იხეირებდა ორ საფეხურიანი სახალხო სკოლა. არც აქ არის სწავლის კერა.

ჭყოპიანელები ძალიან ადვილათ შეინახამდნენ ერთ მასწავლებელს ორ სართულიანი სკოლით; არც აქ არის სკოლა.

ნოსტე,—ეს ისტორიის მოწამე სოფელი, რომელიც დიდი ხანია ღირსი იყო სწავლისა, დღესაც მოკლებულია სასწავლებელს; აქ კი სულ ადვილათ გაუძლვებოდნენ ორიანსაც და სამ საფეხურიან სასწავლებელსაც.

მთელი რიგი მთიულის სოფლებისა ბოხტიბე, გრგალი, მერია, იკვი, სამაჭალო, გოგოთი, ნამტვრევიანი, ავაზნები, რკონი მოწყვეტილია სწავლასა. ხალხი ფრიად ნიჭიერი, გამრჯე, ფხიანი და სწავლის მოყვარული; რამდენჯერ შემოუჩივლიათ: „ახ, თქვენ კი გენაცვლეთ, ვის ვახსოვართ, ვისა სცალიან ჩვენთვისა. ბრიყვებს ამიტომ გვეძახიან, რომ არა ვიცით რა ქვეყნისა; გვინდა მოვიხსნათ ეს „კიჟინი“, მაგრამ ვინ არის ჩვენი პატრონი“. ასე გაშინჯეთ: ერთა-წმინდის ბიბლიოთეკიდგან წიგნის მომხმარებლები ესენი იყვნენ; მერე იცით როგორა სწავლობენ აქ წერა-კითხვასა? წერა-კითხვას აქ თხებში და ძროხაში სწავლობენ“.

დაუდით გოგო-ბიჭებს საქონელი ტყეში, უჭირავთ წალდი და ათლიან ხეს გვერდებსა; აი ამ ჩამოთლილ ხესთან მოგროვდებიან პატარა გოგო-ბიჭები და ერთ-ერთი მათგანი მცოდნე, წერა-კითხვისა წერს ჩამოთლილ ხეზედ ანა-ბანასა უყურებს ადამიანი ამ სურათსა და უხარიან გულსა. მიდიხართ ტყე-ტყე და მალ-მალ ხედავთ ჩამოთლილ ხეს; დაინტერესებული მიახლოვდები ხესთან და ხან და ხან იმისთანა მშვენიერი ლექსს კითხულობთ, რომ სიამოვნებასა გგვრით.

ნახეთ ეხლა ქსილისის ქედებზედ, სადაც ზაფხულობით მიუდით საქონელი, როგორ ვარჯიშობენ მწყემსები წერა-კითხვაში; აგერ, ხედავთ აქ, იქ, წაწოლილა 15—16 წლის ბიჭი ურო ბალახში, უდევს წინ ვეფხვის ტყაოსანი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი და კითხულობს გატაცებული. აქ ამისთანა სურათს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ შეხვდებით. აი აქ მოუტანდა დიდ სარგებლობას, რომ მოწყობილიყო ერთნაირი მოძრავი სკოლა მთის ხალხისათვის. შესაძლებელი იქნებოდა თითო სოფელში სკოლა ორი სამი თვე დარჩენილიყო, შენობას სოფელი უშოვნიდა, სკოლის ავეჯის გადატანასაც თითონ სოფელი იკისრებდა. სამართლიანი იყო იმ მთიულის ჩივილი მართლაცა და სად-ვინ არის ამათი პატრონი!

მართალია, არის ზოგი ერთ სოფელში სკოლა, მაგრამ საცა არის, ვაი იმ ყოფნას, ძლივსა ბოგინობს, სულსა ღაფავს; რის ბრალია ესა? ეს იმის ბრალია, რომ გაუხსნია კი მთავრობას სასწავლებელი და ეგ არის, მორჩა, მიუგდია ქვა. იშვიათად და სულაც არ შეიხედავს აქ მთავრობის მოხელე, რომ ნახოს რას ასწავლიდა და რას აკეთებდა მასწავლებელი; არც პროგრამის გავლა, არც მეცადინეობის სისტემის დათვალიერება ამ სკოლებისთვის არ არსებობს—ასე ღვთის ანაბარა არიან თავმინებებულნი. ამიტომაც არის ხოლმე რომ მასწავლებელს როცა ეზარება, ან გუნებაზედ არ არის ცოლი ქმარს, ან ქმარი ცოლს ეუბნება: „წადი შენ ასწავლე“-ო, და თუ ცოლ-ქმარი ვერ შეთანხმდნენ, ოჯახში მულს, ან მაზლს აგზავნიან სამეცადინოთ. ეს კიდევ არაფერი, ხან ასეცა ჰხდება ხოლმე: მიგლენ ბავშვები სასწავლებელში და უცდიან მასწავლებელს, რეკავენ მოწაფეები ზარსა, მასწავლებელი არსადა სჩანს,—ის ვილასაც შეუწვევია ჭიქა არაყზედ, ილაჯ გადაწყვეტილები ბავშვები მიდიან მასწავლებელთან და სთხოვენ; „მასწავლებელო, ვიცდით“. მასწავლებელი: „წადით და მოვალ“. კიდევ მიდიან მოწაფეები: „ვიცდით, მობრძანდით“. მასწავლებელი: „ემ საათში, ემ წუთას, წადით, მოვდივარ“: კიდევ უცდიან მასწავლებელს მოსწავლენი; კიდევ მიდიან მასწავლებელთან, ეხლა კი მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს: ოჰ, უთხარით ამხანაგებს ნუ მომიცდიან, შინ წადით და ხვალ ადრე კი მოდით“.

ჩემი მეზობელი შემომჩიოდა: გენაცვალეთ, ბატონო, ჩაუკეთე თონესა, გოგომ ოროშის გადმოღება კი მიშვლა და წავიდა სკოლაში; სანამ, გუდას ამოვქნიდი და ჩავაკრამდი, გოგო დაბრუნდა სკოლიდგან—გაგვითავდა სწავლაო, გენაცვალეთ, ბატონო, ასეთი სწავლა გაგონილა?

აქ მოყვანილი ამბები თვალით ნანახი ცოცხალი სურათებია ქართლის სკოლის ცხოვრებიდგან მშობელი ხალხის განათლების დღიური ამ ამბით დაიწერება.

საერთოდ ქართლის განათლება გულწრფელი ბეჯითობით არა სწარმოებს, ხალხი დიდ სიბნელეშია და ამას კი აუარებელი უბედურება ახლავს თან,—სიბინძურე, უსუფთაობა შინ, გარეთ, უშვერი სიტყვებით თავშეუკავებელი ერთმანეთის ხსენება თითქოს დაკანონებულია და მოდგმითი მოდგმით გადადის გვარში, თემში. რისთვის, ან ვისთვის არის საჭირო ქართლის ამ მხრივ ესე უყურადღებოდ დატოვება, ეს ვერ გაგვიგია. გვითქვამს და ვამბობთ, რომ ქართლელები ჯიუტი ხალხი ვართ, ვერ ვეგუებით სწავლა-განათლებასა, და თუ სწავლა-განათლება ერთნაირი საშუალებაა, რომელიც ხალხს სიბნელიდგან გამოიყვანს და ბედნიერებას მისცემს, რათ არ უნდა მთავრობას ძალით, მათრახით მიგვიყვანოს სკოლასთან. ნუ თუ ქართლი კიდევ დიდი ხანი უნდა იყოს ჩამორჩენილი და კიდევ დიდი ხანი უნდა ეკრას დაღი „ბრიყვი“. ვიცით, ნიკოლოზის დროს იყო მიდრეკილება ქართლის სიბნელეში დატოვებისა. რასაკვირველია, ამას ის აზრი ჰქონდა, რომ ხალხი მეტ უწინაალმდეგო იარაღათ გადაქცეულიყო ბრძანებლის და მევახშის ხელში და მეტი სისხლი ეწოვნათ, მაგრამ ეხლა თუ განთავისუფლდით და ავიხსენით უღელი ბიუროკრატიისა, განა ესე უნდა იყოს მოწყობილი ჩვენი შეგნების საქმე? ესე უნდა იყოს ჩვენი განათლების საქმე მოწყობილი, როდესაც მთავრობის სათავეში ქართველები სდგანან. ნუ თუ ეს ქართველები არ ცდილობენ ჩვენს განათლებას? არა, ამას ვერ ვიფიქრებთ რომ არ გვქონდეს საბაბი ამისთანა ფიქრებისა, უნდა მოვიდეს ქართველი ხელისუფლება და ძალით, მათრახით მიგვერეკოს სევდის კერასთან. შემცდარი აზრია ქართლის უსწავლელობა სიღარიბეს მივაწეროთ; მართალია ქართლელი მდიდარი არ არის, მაგრამ მისი ჩამორჩენა კი მომეტებულათ იმ ტიპიური თვისებების ბრალია, რომელიც დაახასიათებს მხოლოდ და მხოლოდ ქართლელს. ყოველ შემთხვევაში მშრომელი ხალხის განათლება ხომ იმიტომ არის საჭირო, რომ ამ ხალხმა სიბნელეს, სიდუხჭირეს დააღწიოს თავი და განა ურიგო იქნება, რომ ქართლელმა მოიმჯირნოს, მისცეს შვილს ცოტა განათ-

ლიერა ყველა შენობები, ზომები შენობების შეკეთებისა და ახლების აგებისათვის სრულებით არ ქონდა სამრეცხაო, რომელიც შარშან დაიწვა; არ იყო მზის ვანებიც. ამათი აშენება მხოლოდ ძლიერ დაგვიანებით იქნა შესაძლებელი და ისიც ყოველივე გეგმის და ტეხნიკური განყოფილების ღონისძიებათა გარეშე. ამიტომ ტეხნიკურ სამუშაოს ხარჯები სამეურნეო ნაწილზე გადადიოდა, რაც რასაკვირველია ცუდათ იმოქმედებს სამეურნეო ნაწილის მუშაობაზე.

სანატორიუმი გაიხსნა 1 ივლისიდან; დღემდე სანატორიუმში 57 ავათმყოფმა გაირა; უმეტესობა ავადმყოფებისა გამოგზავნილი არის 6 კვირით, შემდეგ ორი თვით და მთელი სეზონით. ამჟამათ სანატორიუმში 57 ავადმყოფია.

ავათმყოფები ეროვნების მხრით შემდეგნაირად ნაწილდებიან:

| | |
|---|---|
| ქართველი | 29 |
| რუსი | 14 |
| სომეხი | 10 |
| ებრაელი | 2 |
| თათარი | 1 |
| ოსი | 1 |

სულ 57 ავათმყოფი.

პირველი რიგი ავათმყოფების სანატორიუმში ყოფნის ვადა 2 ენკენისთვისთვის თავდება, რის შემდეგაც მოელიან ახალ ავათმყოფებს. ავათმყოფები უმთავრესად ფილტვებით სუსტნი არიან (ჭლექის სხვადასხვა სახე), სისხლ ნაკლულნი და სხ. პროფესიის მიხედვით ავათმყოფებში არიან: მეთამბაქოები, მბეჭდავები, მქსოველები, მეტყავეები, საბჭოთა მოსამსახურენი, ხელოვანთა კავშირის წევრნი, განათლების მუშაკთა კავშირის წევრნი და სხ.

მთავარი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, სანატორიუმის არსებობისათვის და ავათმყოფთა გაუმჯობესებისათვის არის კვების საკითხი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სამეურნეო ნაწილის მუშაობასთან; სანატორიუმის სამეურნეო ნაწილს განაგებს სანატორიუმების სამნეო მუშაობას საკმაოდ გაცნობილი მიხ. ურუშაძე, რომელიც ჯერ კიდევ შარშანაც იყო დანიშნული ცემის სანატორიუმის მნეთ. უნდა ითქვას, რომ ის, რითაც კმაყოფილი რჩებიან ავათმყოფები და ყველანი, ვინც კი აქაურ სანატორიუმს ავათმყოფთა კვებისა და საერთოდ სამნეო ნაწილის მუშაობას ეცნობა,—ეს არის სინდისიერი მოხმარა სახელმწიფოს მიერ გაღებული საშვალებებისა მუშათა ჯანმრთელობისათვის. იმ სახსარის მიხედვით, რომელიც სანატორიუმს გააჩნია, კვება და ავათმყოფთა მოვლა საუკეთესოდ სწარმოებს. ყოველდღიურათ თითო ავათმყოფზე იხარჯება:

| | |
|---|---|
| პური | განუსაზღვრელად |
| რძე | 1 ბოთლი |
| ხორცი | 1 გირ. |
| კარტოფილი | 1 გირ. |
| ბრინჯეული | 24 მისხ. |
| შაქარი | 17 მისხ. |
| კაკაო | 3 მისხ. |
| კარაქი | 8 მისხ. |
| ცხიმეული | 8 მისხ. |
| ჩაი | ნახ. მისხ. |
| ხილი | ნახ. გირ. |

ყოველივე ამას შედეგათ ის მოაქვს, რომ ავათმყოფები თავს უკეთ გრძნობენ, საგრძნობლად იმატებენ და განახლებული ენერგიით უბრუნდებიან სამუშაოს. საშუალო მატება თითეული ავათმყოფის წონისა—10 გირვანქას უდრის; მინიმუმი—7 გირვანქაა, მაქსიმუმი კი—18.

სანატორიუმის მოსამსახურეთა რიცხვი 24 უდრის; საქმის წარმოება სანატორიუმში სახელმწიფო ენაზეა. ხშირი არის კონფლიქტები უნცროს მოსამსახურეთა და ავათმყოფებს შორის, რომელიც მოსამსახურეთა გამოუცდელობას და უყურადღებობას უნდა მიეწეროს; უფროს მოსამსახურეთა (ექიმების, მნეს) მუშაობით ავათმყოფები კმაყოფილნი არიან.

სანატორსუმის ხშირი სტუმარნი არიან სხვადასხვა სარევიზიო კომისიები; პირველი რევიზიის დრო შემჩნეულ იქნა წიგნების უხეირო წარმოება, რაც შედეგი იყო საკანცელარიო მუშაობის დაულაგებლობის და რომელიც მალე გამოსწორდა.

სანატორიუმის მოსამსახურეებს აქვთ ადგილკომი, რომელიც თვალყურს ადევნებს მოსამსახურეთა მუშაობას და არჩევს კონფლიქტებს; მისივე ამოცანას შეადგენს კულტურული მუშაობა მოსამსახურეთა შორის.

სეზონი დაახლოებით 15 ენკენისთვემდე გაგრძელდება.

**ავათმყოფი.**

## თელავში ილიაობა არ გამართულა.

თითქმის ყოველ ზაფხულს თელავში მიხდება ცხოვრება და ყოველ ზაფხულს ილიაობას იმართებოდა ესრედ წოდებული „ილიას საღამო“.

ილია კახელია, აქ დაბადებულა, აქ გაზრდილა, აქაა მისი ყვარელის მთები, კუდი გორა, კავკასიონის მთის მწვერვალები, კახეთი და თელავი სულ სხვანაირად უყურებს ამ მართლა და თავის ღირსეულ შვილს და რაც პოეტი ველურად მოჰკლეს წიწამურის გზაზე, თელავში ყოველ წელს იმართებოდა ილიას საღამო.

ამ საღამოს ყველა მოუთმენლად მოელოდა, ნასწავლი თუ უსწავლელი, ინტელიგენტი თუ მუშა, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი და ყველა თავის თავს მოვალედ ჰრაცხდა დასწრებოდა.

როგორც ყოველთვის საღამო შარშანაც გაიმართა. წელს კი არაფერი ყოფილა სიჩუმით ჩატარდა ეს დღე.

ეს მეტად სამწუხაროა. როგორი შინაარსისაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც უეჭველად რითიმე უნდა აღნიშნულიყო ილიას სახელი.

**მ—ხული.**

ლება და ამნაირათ მომავალი თაობა გაანთავისუფლოს უსწავლელობის უჯიათი შედეგებიდგან? თუ სადმეა საჭირო, ძალდატანებითი სწავლა-განათლება, ეს ძალდატანება ჯერ ქართლში უნდა იქმნეს შემოღებული და შემდეგ ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეებში; ვინც ჩვენ გვიცნობს, ვინც იცის ჩვენი ბუნება, იმან უსათუოდ ისიც იცის, რომ ჩვენში ყველა კარგი საქმე მათრახით, ძალდატანებით, საქმესთან მიტყუებით გაკეთებულა, თუმცა კი იცის ჩვენმა კაცმა, რო ეს საქმე მისთვის სასარგებლო და კარგია. ძალდატანება, გადავარდა და სწორეთ ქართლელის საუბედუროთ. ვინ არ იცის,—სისუფთავე გლეხკაცისა მისივე ოჯახის ჯანმრთელობა და სისაღეა. ნიკოლოზის დროს თუ რომელიმე პრისტავს მოეპრიანებოდა კარგი აზრი, ჩამოატარებდა გზირს მათრახითა და ოცდა ოთხ საათში პატივებიც გატანილი იყო და ეზო-მოედნებიც დაგვილი; ეხლა ეხვეწება სოფლის კამისარი, ყელს უწევს ყველას აჩვენებს მოწერილობას პატივი გაიტანეთ სოფლიდგანაო, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ—ყურს არავინ იბერტყავს, არც პატივი გააქვთ, არც გზებსა გვიან. ვეუბნები კომისარს: „ძალა უნდა დაატანო, ასე არ შეიძლება“ და სხვა;—„ნება არა მაქვს ძალდატანებისაო“; იხრჩობა ქართლის სოფელი სიბინძურეში და საღამოს ჟამს მინდვრიდგან მოსული სოფლის სანიტრები თუ დაასუფთავებენ ხოლმე ეზო-გზებსა. უხვეწნოთ, ძალდაუტანებლივ,—ასეთია ჩვენი სოფლის მდგომარეობა. მიდის კომისარი მეკომურთან: გიორგი, ნეხვი უნდა გაიტანო; ერთის სიტყვით უმტკიცებს სისუფთავის სარგებლობასა; ჩვენი გიორგა (არც გააცია—არც გააცხელა), გაქანდა, წაყო თავი ნეხვში და შეუძახა: „აბა ამაღამ ამ ნეხვში დავიძინებ და მე მაწყინოსო“; მარტო გიორგა კი არა, ასი ამისთანაა და რითი უნდა დაუმტკიცო მათ სისუფთავის სარგებლობა, თუ არა ძალდატანებით.

სწავლის საქმეში უარესი ხდება; ყველამ რო ვისწავლოთ, ვილამ ხნას და თესოსო. უმტკიცებ, რომ ნასწავლი გუთნის დედებიც არიან, მაგრამ შენ არ მომიკვდე, ის მაინც თავისას გაიძახის; მამაშვილს გინებას ისე ასწავლის, როგორც მოძღვარი ლოცვა კურთხევასა; სოფელი ნამდვილი აკადემიაა გინებისა. მახსოვს ბოლშევიკებმა რუსეთში ხალხს მიმართეს ლოზუნგით: „დოლოი მატერშჩინუ!“ არ ვიცი, მოიტანა რამე შედეგი ამ ძიმართვამ, თუ არა, ხოლო ბევრი ჩვენგანი კი ინატრებს ხოლმე, რომ მინაგვარი ლოზუნგი ჩვენ ხალხშიაც იყოს გადასროლილი.

ბევრი დაგვრჩა სათქმელი, მაგრამ ბოდიში უნდა მოვიხადო, რადგანაც ისედაც საკმარისად მოვღალეთ მკითხველის ყურადღება; და თუ გაგვიგრძელდა სიტყვა, ესეც იმიტომ, რომ გარდაგვეშალა საზოგადოების თვალწინ უფერული სურათი ქართლელი სოფლის ცხოვრებისა,—იმ იმედით, რომ იქნებ ვინმე ამოძრავებულიყო კეთილშობილური განზრახვით და მოეტანა სამკურნებელი წამალი თავის მოძმესთან, ისევე როგორათაც ახალი აღთქმის სამართალმა განკურნა გზაში დაჭრილ-დაკაფული მოგზაური.

ვინ არის? ვინ უნდა ექმნეს ქართლის სოფლის მცხოვრებს ამისთანა სამარიელად? ვინ უნდა იშოვოს და მოიტანოს მისთვის ეს სამკურნებელი წამალი, რომ მოარჩინოს და განკურნოს იგი დღევანდელი ჭირ-ვარმისა და სენისაგან.

საერთოდ ჩვენი ერისა და კერძოთ ქართლის სოფლის მშრომელი ცემენტის სამარიელად უნდა იქმნეს ისევ ის, ვინც აქამომდე მასთან ყოფილა მისი ჭირ-ვარმის მომტირალიც, მოზარეც, ვისაც აქამომდე მისი ბედიც და უბედურობაც კალთით უტარებია, ვინც მასთან ერთად გადიტანა შეუდრეკლათ რევოლიუციის გრიგალი და დევნილი და გვემული გულში ატარებს ერისა, ენისა და სამშობლოს სიყვარულს.

ვინ არის ეს ამისთანა ადამიანი? ეს იყო და არის ქართველი მშრომელი ინტელეგენცია.

აი ეს ელემენტი, ეს ინტელლიგენცია წინანდებურათ უნდა დაუბრუნდეს სოფელს, ჩაუდგეს მშრომელ ხალხს სათავეში, მოაწყოს მისი ცხოვრება და მით აღასრულოს ერისა და თავის სინიდისის წინაშე ნაკისრი წმინდა ადამიანური მოვალეობა. ინტელიგენცია და მისი პატიოსანი განზრახვანი სასყიდელს არ ითხოვენ, ცხოვრებამ კიდეც დაამტკიცა, რომ იგინი საფასურით არ მოისყიდებიან. მხოლოდ ერთია მისთვის საჭირო,—სახელდობრ ის, რომ ქართველი ერის ხელისუფლება ამ ინტელიგენციის საქმიანობას ხელმძღვანელობდეს და ეხმარებოდეს.

ჩვენ ძლიან გვიყვარს ძმობა-ერთობაზედ ლაპარაკი; მაგრამ სად არის ეს ერთობა. ეს სიყვარული, ეს ნდობა? რათა სდევს ჩვენ სიტყვასა და საქმის შორის **დიდი ზღვარი?** ხომ ვიცით და გვეუბნება ცხოვრება, რომ ნდობასა და სიყვარულს ყველაფერი აუშენებია, სიმტრეს, დევნას, უნდობლობას—დაუნგრევია. ჩვენი ერთმანეთის სიყვარულსა და ნდობას კი სოფლად ბევრი, ძალიან ბევრი რამ კარგი საქმე უცდის რომლის განხორციელებაც მშრომელი ხალხის წყლულს სამკურნებლად ესალმუნება და საქართველოს გარდააქცევს „მშვენიერ საქართველო“-დ.

**სოფლის მოზარე.**

## წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: აგვისტოს 19-ს ა. წ. წაღვერში მყოფ ქართულ დრამატიულ სტუდიელთა მიერ გამართულ იქნა საღამო, რომლის სასარგებლოთაც საღამოს მომწყობმა კომისიამ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: 1) სესია ლეჟავასაგან—[illegible] მილ; 2) მიხეილ აბაშიძისგან—[illegible] მილ.; 3) [illegible] ჟავასაგან—10 მილ.; 4) თამარა თევზაძისაგან—[illegible] 5) ვანო დეკანოსიძისაგან 5 მილ. და [illegible]ასაგან 3 მილ. კომისია გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ.

**საღამოს მომწყობი კომისია.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 105

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**იმ პირთა უზრუნველყოფის შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე და რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ.**

რათა უზრუნველყოფილ იქნეს შრომის უნარ დაკარგული პირნი, რომელნიც ცნობილ არიან თავიანთი დიდი დამსახურებით რევოლიუციონური, საბჭოთა და პროფესიონალურ მოღვაწეობაში, აგრეთვე მეცნიერებისა, ხელოვნებისა, ლიტერატურისა და ტეხნიკის სფეროში, ან რომელთაც თავიანთ მოღვაწეობაში გამოიჩინეს განსაკუთრებული თავგანწირვა და ერთგულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს გაძლიერებული პენსიები, რომელიც მიეცემა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შემწეობით შემდეგ პირთ:

ა) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად ან ნაწილობრივ და ვისაც მიუძღვის დიდი დამსახურება რევოლიუციონურ მოღვაწეობაში ან განსაკუთრებული ღვაწლი ტეხნიკის დარგში, უკეთუ ასეთ მოღვაწეობას საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა:

ბ) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად ან ნაწილობრივ და ვისაც თავისი რევოლიუციონური, საბჭოთა და პროფესიონალური მოღვაწეობით თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანია რესპუბლიკისათვის ან გამოუჩენია განსაკუთრებული თავგანწირვა და იშვიათი ერთგულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი;

გ) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად და ვისაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს მეცნიერებასა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში;

დ) პირველი მუხლის ა, ბ და გ პუნქტებში ჩამოთვლილ პირთა გარდაცვალების გამო პენსია უნდა დაენიშნოს მათი ოჯახის იმ არა-სრულ-წლოვან ან შრომის უნარ-დაკარგულ წევრს, რომელიც გარდაცვალებულის სიცოცხლის დროს მის ხარჯზე სცხოვრობდა.

2. დაწესდეს შემდეგი რაოდენობა გაძლიერებული პენსიებისა:

ა) 1-ლი მუხლის ა და ბ პუნქტებში აღნიშნულ პირთათვის—სამუშაო ხელფასის საშუალო სატარიფო განაკვეთიდან მაქსიმალურამდე;

ბ) 1-ლი მუხლის გ პუნქტში აღნიშნულ პირთათვის—არა უმეტეს საშუალო სატარიფო განაკვეთისა;

გ) 1-ლი მუხლის დ პუნქტში აღნიშნულ პირთათვის ორი მესამედი იმ გაძლიერებული პენსიისა, რომელსაც გარდაცვალებული სიცოცხლეში იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო.

3. ამა დადგენილებით გათვალისწინებული გაძლიერებული პენსიების გაცემის წესების შემოღებისათანავე, განათლების სახ. კომისარიატის წესის შესაცვლელად, რომელიც მიღებულია საქ. სოც. საბჭ. რევოლ. კომიტ. მიერ 1921 წ. აგვისტოს 25 დებულებით—მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში დამსახურებულ მოღვაწეთა სოც. უზრუნველყოფის შესახებ,—დაუნიშნავს და მისცემს პენსიას ზემოხსენებულ დებულებაში აღნიშნულ ყველა პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ შრომის უნარი ნაწილობრივ დაუკარგავთ, ისინი გადარიცხულ უნდა იქნენ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის მზრუნველობად, იმ პირობით კი, რომ შეუძლებელია შემცირებულ იქნეს იმ პენსიის რაოდენობა რომელიც მათ განათლების სახ. კომისარიატიდან ეძლეოდათ.

4. ის კრედიტები, რომელიც ზემოაღნიშნული საჭიროებისათვის გახსნილი აქვს ყველა სახ. კომისარიატსა და დაწესებულებას, გადაეცხოს სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის გამგებლობაში და მისვე მზრუნველობას გადაეცეს ყველა ის პირი, ვინც დღეს გაძლიერებულ პენსიას იღებს.

5) გაეხსნას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—მისი აღრიცხვით კრედიტი ამა დადგენილებით გამოწვეული საჭიროებისათვის.

6) მიენდოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოსცეს ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი: **კ. ხომერიკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: **ალ. სალარიძე.**

1923 წ. აგვისტოს 25.
ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო ამით აცხადებს,

რომ ა. წ. 5 სექტემბერს მის მიერ დანიშნულია

# შეჯიბრება

ერთ სართულიანი ყავრით დახურული სახლის იჯარით აღების შესახებ.

სახლი იქნება აგებული ნამტვრევი ქვისაგან და შემდეგი ზომის გეგმაში 11, 20, სულ დაახლოვებით 140 კუბ. საჟ. მასალები იქნება „ზაჰესის“, ხელსაწყოები კი მოიჯარადრის. სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს ერთ თვე ნახევარში.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებული ნიმუშის ბლანკზე წარწერით:

„ზაჰესი“-ს სამუშაოთა უფროსს ა. წ. 5 სექტემბრის შეჯიბრებისათვის. ამავე დღესვე გაიხსნება პაკეტები. ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში. ფულის გადახდა იწარმოებს საგადასახადო ქვითარის შედგენის დღეს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით თანახმად ტფილისის სავალიუტო ბირჟის კურსისა.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯ. თანხის 50 პრ. შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონებისა და სხვა ამგვარის სახით მხედველობაში არ იქნება მიღებული საწინდარის შემოტანისაგან არავინ არ განთავისუფლდება.

საწინდარი იმ პირების ან ორგანიზაციების, რომლებიც აიღებენ სამუშაოს, გადიდებულ იქნება საერთო ჯამის 10 პროცენტამდი პირველი მისაღებ თანხიდებან 10 პროცენტის დაჭერით და დაბრუნებულ იქნება სამუშაოს შესრულების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მოღვაწეობას და მის გამოცდილებას.

ვრცელი პირობების და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველივე დღის 10—12 საათამდი. ქ. ტფილისი, ლ. დუმბაძის ქუჩა, სახლი № 3 იქიდანვე გაიცემა დაწესებული ნიმუში ბლანკებისა განცხადებისათვის.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე **გ. კიკნაძე.**

№ 398.—3—3.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 585 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4